

**შპს ტობაკო მარკეტი**

**ს/კ 406200793**

**ინდივიდუალური ფინანსური**

**ანგარიშგება**

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2025 წ.

## სარჩევი

|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                     | 3  |
| ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 4  |
| ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                 | 5  |
| ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....   | 7  |
| 2. შპს ტობაკო მარკეტის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა .....   | 7  |
| 2.1 მომზადების საფუძვლები .....                                            | 7  |
| 2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში .....                                      | 8  |
| 2.3 შემოსავლის აღიარება .....                                              | 8  |
| 2.4 საოპერაციო იჯარა .....                                                 | 9  |
| 2.5 მოგების გადასახადი .....                                               | 9  |
| 2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა .....                          | 9  |
| 2.7 ძირითადი საშუალებები .....                                             | 9  |
| 2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება .....              | 10 |
| 2.9 მარაგები .....                                                         | 10 |
| 2.10 ანარიცხები .....                                                      | 10 |
| 2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები .....                              | 11 |
| 2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები .....                      | 11 |
| 2.13 საკუთარი კაპიტალი .....                                               | 12 |
| 2.14 დივიდენდები .....                                                     | 12 |
| 3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და მსჯელობები .....                  | 12 |
| 3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები .....             | 13 |
| 4. შემოსავალი .....                                                        | 13 |
| 5. ხარჯები .....                                                           | 14 |
| 6. ძირითადი საშუალებები .....                                              | 14 |
| 7. მარაგები.....                                                           | 14 |
| 8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                         | 15 |
| 9. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                       | 15 |
| 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                     | 15 |
| 11. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....                        | 16 |
| 12. პირობითი ვალდებულებები .....                                           | 17 |
| 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები .....                 | 18 |

შპს ტობაკო მარკეტი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
ქართულ ლარში

**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|-------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 2815505           | 1934496           | 1001618           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 2806              | 29862             | 39157             |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 74416             | 42593             | 54903             |
| მარაგები                                                    | 534143            | 691236            | 665567            |
| ძირითადი საშუალებები                                        | 25136             | 12653             | 15316             |
| <b>სულ აქტივები</b>                                         | <b>3452006</b>    | <b>2710840</b>    | <b>1776561</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |                   |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულებები                                       | 10487             | 10847             | 7406              |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 92028             | 101030            | 21724             |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 0                 | 11229             | 20501             |
| სხვა ვალდებულებები                                          | 1246              | 1088              | 721               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    | <b>103761</b>     | <b>124194</b>     | <b>50352</b>      |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                    |                   |                   |                   |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   | 3348245           | 2586646           | 1726209           |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                | <b>3348245</b>    | <b>2586646</b>    | <b>1726209</b>    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>               | <b>3452006</b>    | <b>2710840</b>    | <b>1776561</b>    |

დირექტორი:

გურამი ნარინდოშვილი პ/ნ 01013003957

შპს ტობაკო მარკეტი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ  
ლარში

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

| შედეგები                                                   | 31/12/2024     | 31/12/2023     |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>საქმიანობის</b>                                         |                |                |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                      | <b>9108095</b> | <b>8790960</b> |
| საქონლის გაყიდვიდან                                        | 8960243        | 8657758        |
| მომსახურების გაწევიდან                                     | 147852         | 133202         |
| გაყიდვების თვითღირებულება                                  | -7745641       | -7478889       |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>1362454</b> | <b>1312071</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                   | -264030        | -246806        |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                 | -9131          | -4359          |
| საპროცენტო შემოსავალი                                      | 207847         | 122774         |
| იჯარის ხარჯი                                               | -326321        | -169723        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                   | -108980        | -109967        |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                     | -500615        | -408081        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                   | <b>861839</b>  | <b>903990</b>  |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                     |                |                |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                    | 0              | 0              |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი | 861839         | 903990         |
| ოპერაციებიდან                                              |                |                |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  | 0              | 0              |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>              | <b>861839</b>  | <b>903990</b>  |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                   |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                        | 861839         | 903990         |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში        | 2586646        | 1726209        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)             | -100240        | -43553         |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>      | <b>3348245</b> | <b>2586646</b> |

დირექტორი:

გურამი ნარინდოშვილი პ/ნ 01013003957

**შპს ტობაკო მარკეტი**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ  
ლარში**

**ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

|                                                                                                                                                              |                |                |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა 31/12/2024 31/12/2023</b> საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი<br>(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები |                |                |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                                                                           | 881009         | 932878         |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის<br/>დასაწყისში</b>                                                                           | <b>1934496</b> | <b>1001618</b> |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის<br/>ბოლოს</b>                                                                                | <b>2815505</b> | <b>1934496</b> |

**დირექტორი:**

**გურამი ნარინდოშვილი პ/ნ 01013003957**

**შპს ტობაკო მარკეტი**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ  
ლარში**

|                                           | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| საწესდებო კაპიტალი                        | 0                 | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 3348245           | 2586646           | 1726209           |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>              | <b>3348245</b>    | <b>2586646</b>    | <b>1726209</b>    |

დირექტორი:

გურამი ნარინდოშვილი პ/ნ 01013003957

**შპს ტობაკო მარკეტი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
*ქართულ ლარში*

**1. შესავალი**

შპს ტობაკო მარკეტი იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2017 წლის 10 თებერვალს) შპს ტობაკო მარკეტის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი „დ“ ქ. №4, ბინა №44 საკონტაქტო პირი: დირექტორი გურამი ნარინდოშვილი 3/6 01013003957

შპს ტობაკო მარკეტის მესაკუთრე, წილის მმართველი გურამი ნარინდოშვილი, 01013003957-100%

**ძირითადი საქმიანობა.** საწარმოს ძირითადი საქმიანობაა თამბაქოთი, თამბაქოს ნაწარმითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა

შპს ტობაკო მარკეტი საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში ხუთ სხვადასხვა მისამართზე, კერძოდ ქ. თბილისი ქავთარაძის ქ. N1, ქ. თბილისი თვალჭრელიძის ქ. N2, ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. 2/4, ქ. თბილისი სულხან ცინცაძის ქ. N12, ქ. თბილისი ნავთლუდის ქ. N10

**ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.** ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში.

**2. შპს ტობაკო მარკეტის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა** ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

**2.1 მომზადების საფუძვლები**

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შპს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას.

ბ) შეფასების საფუძველი

. შპს ტობაკო მარკეტის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. შპს ტობაკო მარკეტის ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამტკიცებულია ხელმძღვანელის მიერ. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება შპს ტობაკო მარკეტის ხელმძღვანელისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ინდივიდუალური ფინანსური

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

## **გ) საქმიანობის უწყვეტობა**

შპს ტობაკო მარკეტი ახდენს გარკვეული საღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს შპს ტობაკო მარკეტის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

## **2.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

**ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა** შპს ტობაკო მარკეტის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს ტობაკო მარკეტის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. **ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება**

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

## **2.3 შემოსავლის აღიარება**

შპს ტობაკო მარკეტი შემოსავალს აღიარებს რეალიზებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლისაც შპს ტობაკო მარკეტი იღებს ან მოელის მიიღოს ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შპს ტობაკო მარკეტი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს თამბაქოს ნაწარმის საცალო რეალიზაციიდან და აგრეთვე მარკეტინგული მომსახურებიდან.

## **2.4 საოპერაციო იჯარა**

საოპერაციო იჯარის გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

## **2.5 მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს ტობაკო მარკეტი გასცემს დივიდენდს. მოგების გადასახადის აღიარებისას გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 99, I-ნაწილის, “ყ” ქვეპუნქტი .

## 2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში

## 2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. შპს ტობაკო მარკეტი თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან. ძირითადი საშუალებებზე მომავალი პერიოდის დანახარჯები, თუ ასეთი არსებობს, ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

**ცვეთა.** ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- |                                          |          |
|------------------------------------------|----------|
| - ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა            | 5 წელი - |
| კომპიუტერი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა | 5 წელი   |
| - სხვა                                   | 5 წელი   |

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

## 2.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს ტობაკო მარკეტი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს ტობაკო მარკეტი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს

განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

## **2.9 მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯებს. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით.

## **2.10 ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს ტობაკო მარკეტს წარსული მოვლენის გამო საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული თუ კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ შპს შეასრულებს ამ ვალდებულებას. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

## **2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გაღივნის ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

## 2.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება** შპს ტობაკო მარკეტი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელმძღვანელო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, საწარმო ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით.

**ფინანსური აქტივები** ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში შპს ტობაკო მარკეტმა ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა, როგორც მოთხოვნები - არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით. ეს აქტივები ძირითადად არის მოკლევადიანი და წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამომშვებასთან. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში. **ფინანსური აქტივების გაუფასურება** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შპს აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელმძღვანელების დარღვევა, კონტრაგენტის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

მხოლოდ მოთხოვნებისთვის, საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს. შპს ტობაკო მარკეტი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა ადარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები, შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ვადიან დეპოზიტებს.

## **ფინანსური ვალდებულებები**

მიზნიდან გამომდინარე, შპს ტობაკო მარკეტი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთი: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. შპს ტობაკო მარკეტს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება).

სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

### **2.13 საკუთარი კაპიტალი**

შპს ტობაკო მარკეტის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. შპს ტობაკო მარკეტის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

### **2.14 დივიდენდები**

დივიდენდების აღიარება ხდება გადახდისთანავე და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები**

შპს ტობაკო მარკეტი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### **3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ტობაკო მარკეტი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს ტობაკო მარკეტს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

#### 4. შემოსავალი

შპს ტობაკო მარკეტის საქმიანობა არის :

- საცალო ვაჭრობა თამბაქოთი, თამბაქოს ნაწარმითა და აქსესუარებით
- მარკეტინგული მომსახურება შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შედავათები და მოცულობის ფასდაკლებები.

შემოსავალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                        | 31/12/2024     | 31/12/2023     |
|------------------------|----------------|----------------|
| საქონლის გაყიდვიდან    | 8960243        | 8657758        |
| მომსახურების გაწევიდან | 147852         | 133202         |
| <b>სულ შემოსავალი</b>  | <b>9108095</b> | <b>8790960</b> |

#### ფინანსური შემოსავალი

|                                             | 31/12/2024    | 31/12/2023    |
|---------------------------------------------|---------------|---------------|
| საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან | 207847        | 122774        |
| <b>სულ შემოსავალი</b>                       | <b>207847</b> | <b>122774</b> |

#### 5. ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                            | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|----------------------------|------------|------------|
| დასაქმებულთა ანაზღაურება   | -264030    | -246806    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -9 131     | -4359      |
| იჯარის ხარჯი               | -326321    | -169723    |

|                               |                |                |
|-------------------------------|----------------|----------------|
| სხვა ხარჯი                    | -108980        | -109967        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b> | <b>-708462</b> | <b>-530855</b> |

**6. ძირითადი საშუალებები** ძირითადი საშუალებები 2024, 2023 და 202 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                            | <b>31/12/20234</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|--------------------------------------------|--------------------|-------------------|-------------------|
| ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება | 25136              | 12653             | 15316             |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>         | <b>25136</b>       | <b>12653</b>      | <b>15316</b>      |

## 7. მარაგები

მარაგები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                     | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|---------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| მარაგები            | 534143            | 691236            | 665567            |
| <b>სულ მარაგები</b> | <b>534143</b>     | <b>691236</b>     | <b>665567</b>     |

## 8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                            | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|----------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2806              | 29862             | 39157             |
| <b>სულ მოთხოვნები</b>      | <b>2806</b>       | <b>29862</b>      | <b>39157</b>      |

## 9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 31/12/2024     | 31/12/2023     | 31/12/2022     |
|------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 42759          | 124919         | 182570         |
| ანაბრები                           | 2758604        | 1798530        | 800000         |
| ფული სალაროში                      | 14142          | 11047          | 19048          |
| <b>სულ ფულადი სახსრები</b>         | <b>2815505</b> | <b>1934496</b> | <b>1001618</b> |

ფული განთავსებულია თიბისი ბანკში მოკლევადიან(ერთ წლამდე ვადით-სარგებელი წლიური 9,55%-დან 11%-მდე. ) და პროკრედიტ ბანკებში შემნახველ დეპოზიტებზე(სარგებელი წლიური 8%).

## 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                            | 31/12/2024    | 31/12/2023    | 31/12/2022   |
|----------------------------|---------------|---------------|--------------|
| სავაჭრო ვალდებულებები      | 92028         | 101030        | 21724        |
| საიჯარო ვალდებულებები      | 10487         | 10847         | 7406         |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0             | 11229         | 20501        |
| სხვა ვალდებულებები         | 1246          | 1088          | 721          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>   | <b>103761</b> | <b>124194</b> | <b>50352</b> |

## 11. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საოპერაციო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი:
- ლიკვიდურობის რისკი

საქმიანობიდან გამომდინარე შპს ტობაკო მარკეტი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს შპს-ს მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

### ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

შპს ტობაკო მარკეტს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები. შპს-ს ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია შპს-ს ფინანსური უზრუნველყოფა.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს ტობაკო მარკეტის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს ტობაკო მარკეტი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

იგი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს ტობაკო მარკეტის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, შპს ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური

ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში შპს ტობაკო მარკეტისთვის ეს რისკი არ იყო არსებითი.

შპს-ს საანგარიშო პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები არ გააჩნია.

### **კაპიტალის მართვა**

შპს ტობაკო მარკეტი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად და სტაბილურ საწარმოდ დარჩენა. შპს-ს ხელმძღვანელი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები კაპიტალის

მართვის მიზნებია:

- საწარმოს სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა საწარმოს ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს.

შპს ტობაკო მარკეტის ხელმძღვანელს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს ტობაკო მარკეტის ხელმძღვანელი დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას შპს-ს ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავისი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ხელმძღვანელის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს ტობაკო მარკეტი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

**12. პირობითი ვალდებულებები სასამართლო დავები** - შპს ტობაკო მარკეტს საანგარიშო თარიღის მდგომარეობით არ გააჩნია სასამართლო დავები.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, შპს ტობაკო მარკეტის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შპს-ს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. შპს ტობაკო მარკეტმა არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად ასრულებს ყველა საგადასახადო ვალდებულებას, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

**საოპერაციო გარემო** - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

### **13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგებების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი:

გურამი ნარინდოშვილი პ/ნ 01013003957